რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და სადამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.,
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხეზე 5 კაპ.

Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская №13
Телефонъ № 363.

თავ. ილია ჭავჭავაძის იუბილეის გამო ქართველთა ამხანაგობამ მოსახერხებლად სცნო დააიაფოს მის-მიერ გამოცემული თხზულებანი თ. ი. გ. ჭავჭავაძისა, რათა ყველას მისცეს საშუალება მათი შეძენისა.

დაკლებულ ფასად გაიყიდება წიგნები მხოლოდ 15 აპრილამდე და შემდეგ-კი ისევ წინანდელ ფასად გაიყიდება.

პირველი ტომი გაიყიდება 70 კ. | მესამე ტომი გაიყიდება 60 კ.
მეორე „ „ 60 „ | მეოთხე (ორი წიგნია) 1 მ. 20

და ოთხავე ტომი ერთად 3 მანათად.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ გაეგზავნებათ მხოლოდ მაშინ, თუ ფოსტის ხარჯს გამოუგზავნიან ამხანაგობას—პირველსა, მეორესა და მესამე ტომზე თექვსმეტ-თექვსმეტი კაპ. თითოეულზე, ხოლო მეოთხეზე 24 კაპ.

წიგნები ამ ფასად მხოლოდ ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, ალექსანდროვის ბაღის თავში. (15—2)

იაფობა ! ლორთქიფანიძეს ! გაზრობა

## სავაჭრო და მაღაზიი

თამამშევის ქარვასლაში № 3 და 4, შტაბის მხრივ, სასტ. «კავკაზ»-ის პირდაპირ.

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ დღეიდან ჩემს სავაჭროში დავნიშნე

## იაფობა-ვაჭრობა

იყიდება ყოველგვარი საფარ-თლო, საფარჩეულო და საქონელი • აბრეშუმეული, შალეული • ტილოეული, ბამბეული და სხ.

= ფასები ყველაფერზე ძლიერ დაკლებულია =

!!ფასები ჩვეულებრივსა და ქარხნების ფასებზე 20 და 30 პროცენ. ნაკლებია!!

ვსთხოვთ ყველას მობრძანდნენ და თვითონ დარწმუნდნენ ჩვენის საქონლის იაფობაში, თამამშევის ქარვ. № 3 და 4, შტაბის პირდაპირ.

**Магазинъ Лордкипанидзе**
*Караванъ-сарай Тамамшева, № 3 и 4, противъ Гл. штаба*
**НАЗНАЧЕНА БОЛЬШАЯ РАСПРОДАЖА**
уступка отъ 20 до 30%% съ фабричныхъ цѣнъ
(30—8) პატივისცემით ლორთქიფანიძე.

გამოვიდა და იყიდება
წ. კ. გ. საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის მაღაზიებში

## გლეხი-კაცის ისტორია

ერკმან-შატრიანისა
თარგმანი ფრანგულიდან ივ. მაჩაბარიანისა
ნაწილი პირველი: საერო კრება.
ნაწილი მეორე: სამშობლოს განსაცდელი.
ფასი თითო ნაწილისა სამი აბაზი.
კარგს ქაღალდზე ხუთმეტი შაური

იქვე იყიდება ი. მაჩაბარიანის თარგმანები:
**ბრჭყალები**
მოქმ. დრამა პოლ ერვიესი. ფასი 30 კაპ.
**ივდითი**
ტრაგ. 5 მოქმ. ჯიაკომეტისა. ფასი 30 კაპ.
...განც ფას-დადებით გაიწერს არა ნაკლებ ხუთი წიგნისა, მანეთზე 30 კაპ. დაეთმობა. (30—4)

## ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელი

უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვისაც ესურვება მოისმინოს კურსები, რომლებიც დაიწყება სასწავლებელში თანახმად მოწერილობისა (ნებადართვისა) სამიწათ-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიერ: 15 მარტიდან ამა თვის დამლევამდე. საგანი მეცადინეობისა—მევენახეობა, მისი მოვლა-მოშენება და აქიმობა. განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული იქნება ამერიკულ ვაზებზე.

15 აპრილიდან დაიწყება კურსები აბრეშუმის მოვლა-მოშენებაზე და მეფუტკრეობაზე. შესწავლა ამ საგნებისა იქნება როგორც თეორეტიკულად, აგრეთვე პრაქტიკულადაც.

კურსები უსასყიდლოთაა და გაგრძელდება ორ კვირას მევენახეობაზე და ორ კვირას მეფუტკრეობაზე და აბრეშუმის მოვლა-მოშენებაზე.

ვისაც ესურვება მიიღებს სასწავლებლიდან მოწმობას.

აბრეშუმის მოვლა-მოყვანას შეასწავლის კურსისტებს ნ. მკურნალი.

მეფუტკრეობას—რ. ჩიხლაძე.

მევენახეობას—ა. შარაშიძე.

სასწავლებელი უმორჩილესად სთხოვს სხვა გაზეთების რედაქციებს, გადაბეჭდონ ეს განცხადება.

დროებითი მმართველი სასწავლებლისა
(6—3) ნ. მკურნალი

მთავრობისაგან ნება დართული
პანსიონი და სასწავლებელი
მასწავლებელი ქალის
ნ. დიდებ[...]იძისა
ტფილისი, მიხ[...]ოვის
ილამე. [...] სთხოვთ ო[...]
[...]ქეელი
დებულობენ ბავშვე[...] წინ მ ხადებ-
ლად საშუალო სასწავლებლებში.
ბავშვები მიიღება სასწავლებლად და საცხოვრებლადაც.
მიიღება აგრეთვე საქალებო გიმნ. მოწაფეებიც სადგომად და საცხოვრებლად.
პანსიონში ასწავლიან მუსიკას (პიანოზე და ვიოლონი)
მოლაპარაკება პირობებზე დილის 10 საათ. 3 საათამდე.

**пансіонъ и училище**
Учительницы
**Н. ДИДЕБУЛИДЗЕ**
Тифлисъ, Михайловск. ул. № 146.
Принимаются дѣти женскаго пола приходящ. и полным пансіонерк. Квартиры съ полнымъ содержачніемъ для учениц гимназіи. Обученіе музык.
(150—11)

## ვყიდულობ

ყოველგვარ
ძველებურ ტანისამოსებს
ქართლ-კახურს, ფშავ-ხევსურულს, თუშურს, მთიულს, გურულს, იმერულს, აჭარულს, მეგრულს, რაჭულს, სვანურს და აფხაზურს.

(ტანისამოსი და სამკაულები უნდა იყოს ძველებური და გამოუყენებელი პატრონისათვის სახმარებლად.)

განსაკუთრებით სასურველია მღვდლების საეკლესიო შესამოსლები მხოლოდ ძველები და სახმარებლად გამოუდეგარნი.

მსურველთ მიმართონ მხატვარს გიგო გაბაშვილს. Тифлисъ, Дворц. д. Грузин. Дворян. Художнику Г. И. Габаеву. (12—5)

იაპონიური საუცხოვო საჩუქრები — იაპონიის საუცხოვო ნაწარმოები და აბრეშუმეულობა

## „აღმოსავლეთის მაღაზია“
## იოსებ მერკვილაძისა

ლორის-მელიქოვის ქ., ზუბალოვის სახ. № 4, სემინარიის პირდაპირ.

ხელ-ახლად მივიღეთ საუცხოვო: იმერული, მეგრული, დიგორული და ლეკური შალები, საკაბეებათ და საჩოხეებათ.

აქვეა ნაბდები ქალისა და კაცისა, ჩაბალახები, ქამარ-ხანჯალი, მრავალი სხვა-და-სხვა დანები, თუშური ნაბდის ქუდები და სხვა სამკაული.

მაღაზიას აქვს სამაგალითო
ქართული (იმერული) ტანისამოსის სამკერვალო
ფასი ყოველიფერზე ზომიერი და დაკლებულია. (20—2)

იაპონიის საუცხოვო ნაწარმოები და აბრეშუმეულობა — იაპონიური საუცხოვო საჩუქრები

= მგზავრთა საყურადღებოდ =
მარტის 5-დან გაიღება
ახლად გაწყობილი

## სლავიანის სასტუმრო

შუაბაზრის მახლობლად, ორბელიანის უბნის ბოლოს, სადაც წინად «მუსიკალური საზოგადოება» იყო.

მშვენივრად გაწყობილი და მორთული ოთახები
მაღალი, მშრალი, სინათლიანი და მყუდრო.
ფასი: დღიურად 50 კ. 5 მანათამდე
თვიურად 10 მ. 50 მანათამდე

**СЛАВЯНСКАЯ ГОСТИНИЦА**
домъ Армянской Семинаріи, на Салд. базарѣ.
**Чистота и дешевизна.**
პატივის-ცემით დიმიტრი ხუნდაძე
(30—6)

ფოტოგრაფია
ალექსანდრე როინაშვილისა
**ყიდულობს**
ძველ ნივთებს და საგნებს—რკინისას, თუჯისას, ბრინჯაოსის, ვერცხლისას, ოქროსას, თიხისას, ქვისას, ფაიფურისას, რქისას და ძვლისას.
ხელ-საქმეს ძველებურის ხელობისას და ნაქსოვ-ნაქარგს და სხვა.
სამკაულს სხვა და სხვას ძველ დროინდელს
ძველს ფულებს და იარაღებს
მსურველთ მიჰმართონ ყოველ-დღე ერევნის მოედანზე საკუთარს ფოტოგრაფიაში
იქვე შეიძლება
**სურათების გადაღება**
იაფად, სწრაფად და ხელოვნურად.
**Фотографія А. С. Роинова**
тамъ-же
*Коллекція древностей*
Тифлисъ, Эриванская пл. д. Харазовой
(100—98)

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ვ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, ოვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ვ. თოფურია. საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ძ. გერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

თვალების ავადმყოფობას—ი. ძ. ვარშავსკი.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი ს. ვ თოფურია.
*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

# დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“
(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).
8 მარტი

**პეტერბურგი.** 7 მარტს ხელმწიფე იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასული დანიაში გაემგზავრა. ხელმწიფე იმპერატორმა და დიდმა მთავრებმა გააცილეს მისი უდიდებულესობა. იმპერატრიცას თან ახლავს გენერალ-ადიუტანტი თავადი ბარიატინსკი.

ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ინება, უწმიდესი სინოდის წარდგენისამებრ, დანიშნულ იქმნეს ლიტვის ეპისკოპოსი იერონიმე ხოლმისა და ვარშავის არქიეპისკოპოსად.

შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: შეჩერებულ იქმნეს გაზეთების „Одесскій Листокъ“-ისა და „Одесскія Новости“-ს გამოცემა ერთი თვით და გაზ. „Донская Рѣчь“-ისა ორი თვით.

**იოკაგამა.** იაპონიის არჩევნებზე ამორჩეულ იქმნა მთავრობის წარმომადგენელთა მცირე უმრავლესობა.

# ახალი ამბავი

*** საიდგან წარმოსდგება პურის სიძვირე—სიიაფე? (ქალაქის გამგეობის საყურადღებოდ). შემოგვსევიან თავრიზიდან და განჯა-ყარაბაღიდან პურის ვაჭრები, დადიან სოფელ-სოფელ და თუ გასაყიდ პურს ადგილზე მოასწრეს, იქვე იპყრობენ, ხოლო ქალაქში გასასყიდად წამოღებულ პურს ფრენით დაედევნებიან უკან, წამოეწევიან გზაში ან სადგურებზე და დაიტაცებენ. შემდეგ ჩამოიტანენ თავიანთ ნაყაჩაღარს ტფილისში, სადაც მათ, რიცხვით—4, 5, 6 კაცს, ერთი დაწყლულებული წისქვილი და ზედ ერთი სავაჭრო ბილეთი აქვთ, ამ წისქვილზე ფქვავენ პურს და მერე როგორ ფქვავენ? როცა მათგან 1 მ. 50 კ. ან 1 მ. 40 კაპეიკად ნაყიდ ფქვილს გასცრის პურის მცხობელი, ერთი წილი ფქვილისა ქატოდ რჩება, მეორე წილი არაფრით განსხვავდება ზღვის ქვიშისაგან, დანარჩენი ნაწილი-კი დგება უვილად უხეირო და დაბალი ღირსების ფქვილი, ასე, რომ გამომცხვარ პურს რომ მართლა პურის ღირსება ჰქონდეს, ამ ფქვილს პურის მცხობელი რუსულ ფქვილს ურევს, რომელიც გირვანქა 5 კაპ. იყიდება და შემდეგ ამ სახით გამომცხვარ პურს ჰყიდის 3 1/2 კაპ; ამის გამო-კი ხშირად მას თვითონ უფრო ბევრი ფული ეხარჯება პურის გამოცხობაზე, ვიდრე მუშტრისაგან ღებულობს; მიუხედავად იმისა, რომ საბრალო ცეცხლით ნადუღ ოფლსა ჰღვრის, თვალებს იწყალებს პურის ცხობაზე და თავ და ყირა ცეცხლში იტრუსება მთელი დღე და ღამე. ვაჭრობის ზედამხედველი-კი, ის დალოცვილი იბრიყვებს სწორედ ამ პურის მცხობლებს, თავს დასჭყივის მათ, მუქარება და შიშის ზარსა ჰგვრის, თითქო ისინი არიან ქალაქის დამღუპველნი და თითქო მათი ბრალი იყოს ყველაფერი ქალაქის პურის საქმეში. არავინ თავს არ იწუხებს სათავიდანვე გამოიკვლიოს პურის წარმოების საქმე, მიაქციოს ყურადღება ზემო-ხსენებულ ვაჭატონებს, თავრიზელ და განჯა-ყარაბაღელ პურის ყაჩაღებს, რომლებიც პირიდან აცლიან ლუკმას ქალაქის ღარიბ-ღატაკ-ობლებს, ისე განსაჯოს, ისე მოუძებნოს წყლულს მალამო. სწორედ საყვედურის ღირსია ქალაქის გამგეობა იმის გულისთვის, რომ ქალაქის პურის საქმეზედ ჯეროვანად არ ზრუნავს, მიუხედავად იმისა, რომ უპუროდ ქალაქი ერთ დღესაც ვერ ისულდგმულებს. ან-კი ქალაქის მმართველები რად შეიტკიებენ ამისთვის თავს, თვითონ ხომ ქალაქის ფულით ძალზე იტენიან ჯიბეებს და პურის სიძვირე მათ აბა როგორ დააფრთხობს. იკითხონ საწყალმა, დღე დამწვარმა ქალაქის ქვრივ-ობლებმა და ღარიბ-ღატაკებმა! დაადგენს ქალაქის გამგეობა პურზე ნიხრს და იმას ხომ აღარ კითხულობს, თუ ამ ნიხრით პურის გამყიდველებს რა შავი დღე ადგათ. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ჩვენ მაინც კიდევ მივმართავთ ქალაქის გამგეობას შემდეგი წინადადებით: აღმოგვიჩინოს წინამძღოლობა, ჩვენ არ დავიშურებთ ჩვენ ოფლს, და დაგვაარსებინოს ქალაქში საამხანაგო საფუძველზე უმთავრესი პურის ვაჭრობა, რომ შესაძლებელი შეიქმნეს პურის იაფად გაყიდვაც და ჩვენც ამ ვაჭრობისაგან ზარალი არ გვექნეს.

ხატის კაცი

*** „ახალი მკითხველის" საყურადღებოდ. 19 ოზურგეთელი ნოქარი შარშან „ახალი მკითხველის" წევრებად ვითვლებოდით. უმეტესობას წარდგენილი გვქონდა სრული წლიური საწევრო ფული (ე. ი. სამ-სამი მან. თითოს), მიეიღეთ მხოლოდ ოთხ-ოთხი წიგნი და მას უკან აღარ ვიცით რა „ახალი მკითხველის" შესახებ. ჩვენ კი, „ახალი მკითხველის" პროექტის მიხედვით, იმედი გვქონდა თვეში თითო წიგნს, ე. ი. წელიწადში 12 წიგნს მივიღებდით და გარდა ამისა, შვიდი წლის წევრობის შემდეგ უსასყიდლოდ დაგვყთმობოდა ხოლმე გამოცემები სამუდამოდ. მაგრამ ამ დაპირების შეუსრულებლობას თქვენი ჭირიც წაუღია, ოღონდ ამხანაგობის ბედი გაგვეგო და ვიცოდეთ, ვის მივაწოდოთ ამ წლის საწევრო ფული. *)

‹ახალი მკითხველისა› წევრი საყვარელიძე

*** მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესს ფლავიანეს, ეგზარხოსს საქართველოისას, როგორც იუწყებიან განზრახვა აქვს 8 ან 9 მარტს გაემგზავროს ვარშავიდან პეტერბურგს, იქიდან კი მობრძანდება ტფილისში 27 მარტს.

*** ახალი ბანკი. კითხვა იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნეს პეტერბურგში კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკი მოსკოვისა, ნიჟეგოროდისა და ტფილისის განყოფილებებით საბოლოოდ გადაწყდება მომავალ აპრილში.

*** მღვ. ტყემალაძის მოკვლის საქმე. როგორც ქუთაისიდან იუწყებიან, მღვდ. ტყემალაძის მოკვლის თაობაზე კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოს გაუმართლებია თედეშვილი, დანარჩენ სამ ბრალდებულისათვის კი ჩამოხრჩობა მიუსჯია. („ნ. ო").

*** პოლიცმეისტრის კ. ი. სვიმონოვის საქმე. ქუთაისიდან იუწყებიან, რომ ტფილისის სამოსამართლო პალატის პროკურორისაგან ქუთაისის საგუბერნიო გამგეობამ ქაღალდი მიიღო, ქუთაისის პოლიცმეისტრის კ. ი. სვიმონოვის სამართალში მიცემის შესახებ, დაფინა ჯოხაძის საქმის თაობაზე ოქმში განზრახ ცრუ ცნობის შეტანისათვის. საქმე ჯერ შეჩერებულია საგუბერნიო გამგეობის დადგენილების გამო, რომელსაც მოითხოვს კანონი. („ნ. ო.")

*) ‹ახალმა მკითხველმა›, როგორც უკვე გამოცხადებული იყო, დროებით შესწყვიტა თავისი მოქმედება, გამგეობის მიერ ამხანაგობის საქმეთა არევ-დარევის გამო. ამ ცოტა ხანში მიწვეულ იქმნება ამხანაგობის საზოგადო კრება, რომელსაც წარუდგენს თავისი მუშაობის შედეგებს კრების მიერ საგანგებოდ არჩეული ორი კომისსია (სარევიზიო და საორგანიზაციო), და ეს კრება საბოლოვოდ გადასწყვეტს ამხანაგობის ბედს. მანამდე კი ამ წლის საწევრო ფულის შემოტანა ჯერ ადრეულია. რაც შეეხება წიგნების გაუგზავნებლობას, ამაზე უნდა შევნიშნოთ, რომ „ახალი მკითხველი" თავისი პროექტის ძალით ვალდებული იყო გაეგზავნა წლიური წევრთათვის არა თითოეული წიგნი თვეში, არამედ ყველა თვის მიერ წლის განმავლობაში გამოცემული წიგნები. ‹ახ. მკ.›-მა გამოსცა 5 წიგნი და თუ ეს წიგნები გამგეობას არ დაურიგებია რიგისამებრ, ამას სარევიზიო კომისსია გამოარკვევს, მოახსენებს საზოგადო კრებას და ყოველივე ანგარიში თავის დროზე ეუწყება ხელის მომწერთ. სვვ—ლი

*** კრების გადადება. 8 მარტისთვეს დანიშნული წლიური კრება საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოებისა აღარ მოხდარა, წევრთა კანონიერი რიცხვის მოუსვლელობის გამო, და გადაიდვა 22 მარტისათვის.

*** უგან. თავ. პ. ა. გრუზინსკი სოხუმში. 3 თებერვალს სოხუმში მისულა მთავარ-მართებლის საგანგებო მინდობილებათა მოხელე უგან. თავ. პ. ა. გრუზინსკი, რომელსაც მინდობილი აქვს განიხილოს როგორც ოლქისა ისე განყოფილების გამგეობაც საქმეები და აგრეთვე სოხუმ-ზუგდიდის გზა-ტკეცილი.

*** სასწავლებლები კავკასიის სამხედრო ოლქში. ამ ჟამად სამხედრო სამინისტრო აგროვებს ცნობებს კავკასიის სამხედრო ოლქის პირველდასაწყის სკოლებისა და სასწავლებლების შესახებ. ეს ცნობები გამოყენებულ იქნება მასალად იმ კითხვის გამორკვევის დროს რომელიც შეეხება კავკასიის სასწავლებელთა განზრახულ ცვლილებას.

*** პოლიტეხნიკუმის საქმე ტფილისში. გუშინ-[illegible] ტფილისის ვაჭართა ს[illegible] ოჯახი, რომელმაც დაადგინა გამ[illegible] [illegible]ომნის დ[illegible] [illegible]ხთი თანაგრძნობა ტფილისის ქალაქის გამგეობის სურვილს ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ; ხოლო იმ კითხვის გადასაწყვეტად, თუ რამდენი ფული უნდა შეაწიოს ვაჭართა საზოგადოებამ პოლიტეხნიკუმს, მიენდო ვაჭართა გამგეობას და მანუფაქტურის კომიტეტს ერთად შეიმუშავონ ამ საგნის შესახებ მოხსენება და წარუდგინონ განსახილველად საგანგებო კრებას. კრებას დაესწრო 80 ვაჭარი.

*** ვაჭართა საზოგადოების არჩევანი. გუშინ-წინდელსავე ვაჭართა საზოგადოების კრებაზე მოხდა მოსამსახურე პირთა არჩევანები. აირჩიეს ვაჭართა მამასახლისად.—ე. ა. დავითაშვილი. მის ამხანაგებად—ი. ა. შადინოვი და ე. მ. აკოპოვი; ვაჭრობისა და მანუფაქტურის კომიტეტის წევრებად: მ. ი. თამამშევი, ა. თ. ფრიდონოვი, ა. ი. მანთაშევი, მილოვი, ფ. ი. ვარტაზარიანცი და კარაპეტოვი.

*** ყოვლად-უსამღვდელოესი ბესარიონი მობრძანდა ქუთაისიდან ტფილისს მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესის ვლადიმირის, მოსკოვისა და კოლომენის მიტროპოლიტის მისალოცავად.

*** მკვლელობა. 7 მარტს საღამოს 10 საათზე, მადათოვის ქუჩაზე ტობოლის გუბერნიის გლეხი თედორე ლაგუტინი შევიდა მარიამ კისელიოვის ლუდხანაში და მოითხოვა ლუდი, რომელიც მიუტანა მას ნადეჟდა გავრიუშინამ. (ეს ქალი-სულ რამდენიმე დღის დამდგარი იყო ლუდხანაში). ლაგუტინისა და ამ ქალის გარდა ლუდხანაში ამ დროს სხვა არავინ იყო, და რა მოხდა მათ შორის, არავინ იცის. ლაგუტინმა დალია რამდენიმე სტაქანი ლუდი, შემდეგ ამოიღო ჯიბიდან რევოლვერი და ესროლა გავრიუშინას. ტყვია ქალს თავში მოხვდა და იქვე წააქცია. რევოლვერის ხმაზე შემოვარდა ლუდხანაში უკანასკნელის პატრონი კისელიოვა, ლაგუტინმა მასაც ესროლა რევოლვერი და სული გააფრთხობინა. რევოლვერის ხმაზე მოსცვივდნენ პოლიციელები, რომლებმაც მხოლოდ დიდის გაჭირვებით აღმოაჩინეს მკვლელი. კისელიოვის გვამი გაგზავნილ იქმნა ანატომიურ თეატრში, ხოლო დაჭრილი გავრიუშინა წაიყვანეს მიხეილის საავადმყოფოში, სადაც იგი მხოლოდ მეორე დღეს მოიყვანეს გრძნობას ექიმობის შემწეობით. ქალის სიცოცხლე განსაცდელშია. შეპყრობილმა ლაგუტინმა განაცხადა, მე გავრიუშინას ამ რამდენიმე თვის წინად გავეცანი და მან სიტყვა მომცა ცოლად წამოგყვებიო, მაგრამ ამ ერთი კვირის წინად იგი მე წამეჩხუბა და ცოლობაზე უარი მითხრაო; მიუხედავად სხვა-და-სხვა რჩევისა და მუქარისა, გავრიუშინა ერას გზით ვერ დავითანხმე; მაშინ მე გადავწყვიტე მოვკლა იგი და ამ მიზნით 7 მარტს, რევოლვერი ვიშოვე; კისელიოვა კი მე სრულიად შემთხვევით მოვკალი, რადგან თავბრუ დახვეული და გახელებული ვიყავიო. საქმის გამოძიება სწარმოებს.

*** ოზურგეთი. მესაათე ებრაელი და ქურდობა. აქ ერთი მესაათე ებრაელი, რომელსაც, დღე არ გავა, არ სცემონ. ასეთი ცემა-ტყეპის მიზეზი ის გახლავთ, რომ ეს ებრაელი გასაკეთებლად მიბარებულ საათებს დროზე არ ამზადებს, ხშირად კი სულაც აღარ უბრუნებს მუშტარს და ეუბნება: რომ არაფერი მოგიბარებია, რა მოგცეო. ამას წინად ამ ებრაელს ვიღამაც საათები მოჰპარა, მაგრამ მუშტრებმა მასვე დააბრალეს ბოროტ განზრახვა, ვინდა საათები შეირჩინო და ტყუილს იგონებო. საზოგადოდ აქეთ ქურდობა გახშირებულია; ამ დღეებში, მაგალითად აქ დრუჟინის ოფიცერს ცხენი მოჰპარეს, როგორც ამბობენ, მეგრელებმა.

მე ვარ!

*** ს. ერკეთი. (გურია)

— ამინდები. თითქო ამინდებიც ხელს გვიწყობს. იანვრის შუა რიცხვებში სამ არშინამდე თოვლი დასდო. უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენა მოუმზადებელი გლეხები. შეშა, ჩალა, სიმინდი—შორს ყანებში დარჩათ. სიმინდიც რომ გეშოვათ, სად დაფქვავდით?!

ულმობელმა და მკაცრმა ყინვამ ეს ერთად ერთი საშუალება მოგვისპო, ასე რომ იძულებულნი გაგვხადა მოხარშული სიმინდის მარცვლებით სიმშილი მოგვეკლა. ღვთის მადლით, ეხლა ჩვენში ერთი კაკნა თოვლიც არ მოიპოვება. ეს ვეებერთელა თოვლი შესანიშნავი სისწრაფით გაქარწყლდა. ჯერ-ჯერობით ჩვენში არავითარ ავადმყოფობას თავი არ უჩენია, რაიცა მეტად სასიამოვნო მოვლენაა, თუ ბუნებამ ფრთები არ შეუკვეცა ჩვენს აღტაცებას.

ს. ბ—ძე

*** გურია. დაუბოლოვებელი ზამთარი. თებერვლის შუა რიცხვებში ისეთი თბილი და მყუდრო ამინდი იდგა, რომ გვეგონა, ღმერთმა საკმაოდ მიითვალა ჩვენი ამდენის ხნის წვალება და გაგვიზაფხულდათქო. ია და სახე მშვენიერი (გაზაფხულის ყვავილია ერთგვარი) ყვაოდა; ტირიფი და სხვა, ადრე გაღვიძებას ჩვეული ხეები მწვანედ მოსილი იყო; ზოგიერთ ხეხილთა კვირტი უკვე გაიფურჩქნა და სრულიად აყვავილებას აღარა უკლდა-რა; შაშვთა და ჩხარტვთა მამრობითის სქესის წარმომადგენელნი ტოლ-სწორის ძებნაში იყვნენ გართულნი და დილა-საღამოობით უსასყიდლო კონცერტსა მართავდნენ, არე-მარეს ატკბობდნენ და ილვიძებდნენ: ერთის სიტყვით, ბუნება გამოზაფხულებას ლამოდა და ჩვენ ესოდენ ჭირ-ვაება გარდახდილნი სამადლობელ პარაკლისის გარდახდას ვემზადებოდით რომ უცებ „ცამან რისხვით მოგვიქუხა; თებერვალმა მისი მოკლე კუდი კვიმატად მოიქნია, მოიქარბუქა და კვლავ თოვლის სქელ სუდარში გაგვხვია, კვლავ დაგვიზამთრდა. უკეთესი ყოფა არც მარტის პირველმა დღეებმა დაგვაყენა და ამ ნაირად, ეხლა მეექვსე თვესა ვითვლით, მას აქედ, რაც დაგვიზამთრდა. უფრო ხანგრძლივი ზამთარი, ვგონებ, არც სვანეთში იყოს... რომ ღმერთმა გაგვიზაფხულოს, ხვნა-თესვა დიდად გასაჭირი და სავაგლახო გახდება. მხვნელ-მთესველთა ჭირ-ვარამის გამყოფი, როგორც მოგეხსენებათ, ხარებია. ხოლო ამ დალოცვილ ოთხფეხთა რიცხვი უჩალობის გამო დიდად შემცირდა და ჩალის ფასად კი არავის გაუვიდა. რაც დარჩა, ცუდის კვების გამო ძვალტყავად არის ქცეული და ისიც კარგია, თუ „სული გაიტანა" გაზაფხულამდე, თორემ კავის გაქანების ძალ-ღონე სადღა ექმნება.

ამას გარდა, თუ ამ თოვლს შემდეგ ყინვები დაიჭირა, ხეხილებს დაგვიზიანებს, რაც-კი ღვინობისთვის თოვლს გადარჩა დაუმტრეველ-დაულეწველი.

Lav.

*** კახეთი. სთოვს და სთოვს. განუწყვეტელმა თოვლის დენამ საშინლად შეგვავიწროვა კახელები. ჩვენთვის აღარც მუშაობა არის, არც შეშა-ფიჩხი და ასე გულ-ხელ დაკრეფილები შევსცქერით ამინდის უქონლობას, სამწუხაროც ბევრი მოაქვს: თუ თებერვლის მიწურულმა და მარტის დაწყებამაც ასე თოვლით გაიარა, თქვენ მტერს, რომ ჩვენ დღეში ჩავცვივდით; ყოველის ფერი შეუმუშავებელი დაგვრჩება თუ ვენახი, თუ მინდორი და თუ სხვა რაიმე სამეურნეო საქმე. ამ ჟამად ხუთ-ექვს ვერშოკის სიმაღლეზედ დევს თოვლი და შემდეგისათვის მოუმატებს თუ დაუკლებს, ეს-კი არ ვიცით, თუმცა-კი ეხლა მუშა ხალხისათვის უფრო დარი მყო საჭირო!

— ქურდობა. კვლავინდებურად საშინლად გახშირდა სოფლებში წვრილი ქურდობა: ქათამ-ინდაურს, ღორს, ღვინოსა და არაყს აღარავის

არჩენენ. ჰპარავენ ყველას, ვისაც კი რაიმე მოეპოვება. და ეს უფრო ისეთს სოფლებშია გახშირებული, სადაც ადგილობრივი მოხელე დამურა'ავით დუქანში იმალება და ოღონდ ჩარექი ღვინო კი არ დაჰკარგოს, თორემ სოფელი თუნდა წყალს წაუღია. ეს ამბები კარგათ იციან შინაურულ ქურდ-ბაცაცებმა და ამისათვის, დიაღ, იმისათვის, რომ მათ მომძებნი მომნახველი არავინა ჰყავსო, უფრო გათამამებული დათარეშობენ! ჩვენ სოფლებს ფხიზელი მეთვალყურე ეპირვებათ მოხელეთ, მაგრამ საუბედუროდ ისინი მხოლოდ დუქნებში ფხიზლობენ და არა სოფლის ხალხთა კეთილ-დღეობისათვის!

ჰამლეტ

*** **გუდაუთი** (აფხაზეთი). ბილწი მანდილოსნები და მათი მედამური ვაჟბატონები. ჯოჯოხეთის ერთი მუგუზალი აქლდა და ისიც მიუმატესო, სწორედ ამ გვარად ჩვენს დაბასაც თუმცა სხვა ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ ყველაზედ უფრო საძაგელს სანახაობას წარმოადგენს შემდეგი. აქ საუბედუროდ ტრახტირები და ყავახანები მეტად ბევრია და მომეტებულად ოსმალოელთ უჭირავთ და თვითოელ მათგანს შვიდ-რვამდე „მანდილოსნები“ ჰყავთ ვითომდა მუშტრების ხელზედ მოსამსახურედ. „მანდილოსნები“ არიან რუსეთიდან, ზოგნი ყირიმიდგან და ზოგნი ეკატერინოდარიდან და სხვ. ამისთანა ტრახტირებში მიეშურება ყველა თითქოს, რაღაც სეირის სანახავად. შეღამდება თუ არა, ხსენებულ ტრახტირებში ნამდვილი სოდომ-გომორრო იმართება. ღამის 10 11 საათის შემდეგ გაისმის ორღანოების ჭრიჭინი, რის გაგონებაზედ ყველას გული უტოკავს და იქითკენ მიეშურება. ნაშუღამევს ერთბაშად შესწყვეტენ ორღანოს, ვითომც მოსვენებას მიეცნენო, ხოლო უწესოება ამითი ხდება ხოლმე: ჩხუბი იურ-ზაური და სხვა. სამწუხაროდ ასეთ შესაქცევს უფრო ყმაწვილი მუშები ეტანებიან თუმცალა ზშირად სხვებიც გამოერევიან გარეგანი შეხედულობით ხელზედ მოსამსახურენი არიან და საქმით კი უწესობას ჩადიან, რომ ჰკითხოთ თვით „მანდილოსნებს“ საიდანა ხართო, ჩვენ თამბაქოს პლანტაციებზედ ვმუშაობთ და ცუდის ამინდის გამო ვერ წავსულვართ სამუშაოდო... ფრიად სასურველია, რომ დაუყონებლივ ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს ამ საქმეს და სამუდამოდ, თუ არა და დღეს დღეობით მაინც აღკრძალულ იქმნას ხსენებულ ყავახანებში „მანდილოსნების“ დადგომა, თორემ თქვენი მტერია ჩვენი ხალხი გაირყვნას და დასნეულდეს!

ნაღარა

*** **ს. სამიქაო** (იმერეთი). ბანქობანას სახუდარი. აქაურს ერთს მცხოვრებთაგანს უჭირავს სამიკიტნო დუქანი, რომელიც ყოველ ცისმარე დღეს აქაურ ახალგაზდებს გაუხდიათ ბანქოს სათამაშო ბუნაგათ. ეს ვაჟბატონები ჩაჯდებიან სულ ჩართულად ბანქოს სათამაშოდ და დიდად შეექცევიან, მაგრამ ვაი მაგისთანა შექცევას.

ფრიად სასურველი და სასიხარულო იქნებოდა, რომ ამ ვაჟბატონებს ვითარცა გართულ გადიდებულ ქრისტიანებს, პატივი დაედოთ დიდ მარხვისა, და სამაგიეროთ სამარცხვინო საქციელით ერთი მეორის გათახსირებისა, მიემართათ ლოცვა მონანებისათვის.

ამასთან ფრიად საჭიროა, რომ სასტიკი ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ-არს და აღეკრძალოთ მათ იმ შემთხვევაში, თუ რომ მათი სინიდისს ქვეშე დარჩეს ეს მცირე შენიშვნა...

მგზავრი

*** **ს. ზანა** (სამეგრელო). სკოლის დაარსება. ადგილობრივმა მღვდელმა ბლაღოჩინმა კონსტანტინე ბაქრაძემ გახსნა „წერა კითხვის“ სკოლა. დროებით შენობა დათმობილია აქაური მოვაჭრე ბეკოია ბოჯგუასაგან. მოსწავლეები 50-ა, მაგრამ საკლასო ნივთები და მასალები არ მოიძებნება. იმედია საზოგადოება ყურადღებას მიაქცევს ამ სკოლის სიღარიბეს, ნამეტურ „წერა კითხვის გამ საზოგადოების“ იმედი გვაქვს.

გურულ-მეგრელი

*** **ს. ცაიში** (სამეგრელო). ბორანის მაგიერად. 15 თებერვალს ზუგდიდში მივდიოდი დელიჟნით და ჩემთან მოდიოდნენ სხვებიც. მივადექით ს. ცაიშს, სადაც პატარა მდინარე ჩამოდის, სახელათ ჯუმი. ჯუმზე ხიდი იყო გასასვლელი, მაგრამ ხიდის უვარგისობისა გამო აღკრძალული ყოფილა გასვლა, რადგანაც ხიდს აკეთებდნენ ოსტატები, ისინიც უშლიდნენ გასვლას. დელიჟნის კონდუქტორმა გვითხრა: ჩამობრძანდით დელიჟნიდან, აი ეგერ მდინარეზე ბორანი დგას და იმითი უნდა გავიდეთო. ჩამოვხტით დელიჟნიდან; დელიჟანსი გავიდა გაღმა ფონის საშუალებით, ჩვენც მივადექით ბორანს, მართლა ბორანი გვეგონა, თორემ დელიჟანს არ გავუშვებდით. ბორანის ნაცვლად ვნახეთ რაღაც პურის საზელი ორი გობი, რომელზედაც დაჭედილი იყო ლურსმნებით პატარა მესრები. მებორნეს, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ მეგობეს, ვუთხარი: კაცო, ეგ რა არის-მეთქი და რამდენი კაცის სიმძიმეს აიტანს-მეთქი. მან მიპასუხა: ოთხის კაცისაო; მაგრამ რადგანაც საშიში იყო, ჩავედით ორნი. ჯერ შუა წყალზე არ მისულიყო გობები, როდესაც ჰკითხა ჩემმა თანამოგზაურმა: რას იღებთ ხოლმე კაცის თავზე გაყვანისათვისო. მან უპასუხა: თითო შაურიო. გაოცდა ის ოჯახ-დაქცეული ჩემი თანამოგზაური. მეგობემ მაშინვე გააჩერა შუა წყალზე გობები და მრისხანედ გვითხრა: ეხლა თუ მომცემთ თითო შაურს გაგიყვანთ გაღმა, თუ არა და აქ გავაჩერებთ შუა წყალზეო! თქვენს მტერს იმისთანა, რაც შიში მე გამოვიარე! სწორედ წყალზე დაგვასახლებდა ორივეს ის ოჯახ დაქცეული მეგობე. ნათქვამია ნავში მენავეს ნუ ეჩავებიო. ჩვენც კრინტი არ დაგვიძრავს და მოწიწებით მივართვით თითო შაური!..

საჭიროა ყურადღებას მიაქცევდეს მაზრის უფროსი და ბოქაული და ნიხრსაც დაადებდეს, როგორც სხვაგან სუფევს ხოლმე. ხოლო პურის საზელ გობების პატრონს უბრძანებდეს, რომ გობების მაგივრათ ნავები ან ნამდვილი ბორანი გამართოს.

ვანო ლოლუა

## გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის „შუამავლის“ წარმომადგენელთა კრება.

(გაგრძელება—იხ. «ცნ. ფურც.» № 475)

ალექ. თოიძე. საზოგადოთ კრებაზე ვისაც რამ აქვს წერილობითი განსაცხადებელი, მან წინათვე უნდა წარმოუდგინოს კრების თავმჯდომარეს, თავმჯდომარე განიხილავს და თუ საზოგადო ყურადღების ღირსია, კრებას წაუკითხავს მდივანი და არა ის, ვისაც უნდა და მოეხასიათება; დღეს ჩვენ შეჰცდარნი ვართ, რომ თავართქილაძეს წაკითხვამდე არ ჩამოვართვით.

თავართქილაძე კვლავ უარს ამბობს. გაისმის: მაშ სიტყვებიც უკან მიირთვით.

თავართქილაძე. თქვენ როგორც გინდათ ისე ინებეთ, და მე-კი ქაღალდს არ მოგცემთ. ხმა: „ალბათ გეშინიათ მისი დამტკიცების და იმიტომ არ იძლევით“.

ბლაღ. არსენ თოსაძე. რაკი ასე სასტიკათ შეურაცხვყო ბ-ნმა თავართქილაძემ, დეე, თუ საზოგადო კრებას არ წარუდგენს მის პასუხს, მედიატორულის წესით გაგვისამართლდეს რევიზიის წევრებს...

აღძრულ იქმნა თავმჯდომარის მიერ კითხვა, რომ კანონიერად ჩაითვალოს თავართქილაძის ასეთი მოქმედება თუ უკანონოდ, საფუძვლიანია მისი პასუხი თუ უსაფუძვლო. ხმების უმეტესობით გადაწყდა, რომ პასუხი უსაფუძვლოთ ჩაითვალოს და არა ყურადღების ღირსათ, რაკი ქაღალდს არ იძლევა.

გ. თავართქილაძე. ვთხოვთ ოქმში ჩასწეროთ შემდეგი განცხადება: მე ვთხოულობ, რომ აირჩიოთ გამგეობა, მე ჩემის მხრით ავირჩევ ორ კაცს, მაგ. აი ნესტორ წერეთელს და ნოე ჟორდანიას და დეე ამ პირებმა შეამოწმონ ჩემი და სარევიზიო კომისიის მოქმედება და შედეგი აცნობონ გაზეთით საზოგადოებას...

თავმჯდომარე. მე რომ თავართქილაძეს პასუხის წაკითხვის ნება მივეცი, ეს იმიტომ, რომ მეგონა პასუხი საქმეს მიჰკერდებოდა, მაგრამ თავართქილაძემ ქაღალდის მოცემა არ ინება, ჩვენ ამიტომ მის შემდეგ განცხადებას არ ჩავწერთ ოქმში.

თავართქილაძე. ოღონდ ჩასწერეთ, თუ გინდ ნუ შეასრულებთ ჩემს კანონიერს თხოვნას.

ხმები: მოიტა ქაღალდი და ჩავწერთ, ისე არაფერს არ ჩავწერთ. უარჰყოფენ კოწიას თხოვნას.

ისიდორე რამიშვილი წარმოუდგენს კრებას ახალ ცნობებს ბათომის ბანკიდან, რომლითაც ვტყობილობთ, რომ გამგეს ამხანაგობისას თავდებობით სხვა-და-სხვა პირთა ჰმართებია ბანკის 2 ათას მანათამდე. რამიშვილი შიშობს, რომ ვაი თუ ეს ფული ამხანაგობას შეექნეს გადასახდელადო. თავართქილაძე ჯერ აცხადებს, რომ მას ვექსილის თავდებობაზე აქვს ხელი მოწერილი, როგორც კერძო პირს და არა როგორც გამგეს. შემდეგ კიდევ შეკითხვისა ამბობს, რომ მგონი ერთ-ორ ვექსილზე-კი მაქვს ხელი მოწერილი, როგორც გამგეს, მაგრამ მას არავითარი შიში არა აქვს იმ პირებისა, რომლებსაც ის თავდებათ დასდგომია ბანკის წინაშე.

შემდეგ კითხულობენ წლიურ ანგარიშს გამგის წარმოდგენილს და ადარებენ სარევიზიო კომისიის ანგარიშს, რომელთა შორის თავი განსხვავება არის ინვენტრის გამოსყიდვაში—კომისია უკლებს ყოველ წლივ $^1/_4$ ღირებული ფასისას, ხოლო გამგეს-კი აქვს ნაჩვენები იმ ფასად, რა ფასადაც ამ ორი წლის წინად უყიდნია. ბ-ნმა ნეს. წერეთელმა განმარტა, თუ როგორი წესი აქვთ მიღებული ასეთ ამხანაგობებს პეტერბურგსა და მოსკოვში და დაასკვნა, რომ ინვენტარის გამოსასყიდად უნდა გადაიდვას ყოველ წლიურ მოსაგებიდან კრების გადაწყვეტილების თანხმად %-ებით. ამ კითხვამ დიდი კამათი გამოიწვია და ბოლოს გადაწყდა გამოირიცხოს ყოველ წლივ მოსაგებიდან ინვენტარის გამოსასყიდად 30%, სანამ გამოისყიდებოდეს, დამტკიცდეს ანგარიში, რომელიც გამგის მიერ გამოცხადებულია ამა წლის «ივერიის» 42 ნომერში, მხოლოდ მისგან გამოირიცხოს 30%. ამის შემდეგ მისი თხოვნის თანხმად მიღებულ იქმნა წევრად დიაკონი სიმონ შარაშიძე. კრება დაიხურა.

კრება გაიხსნა საღამოს 6 საათზე. წაკითხულ იქმნა დილის ოქმი და შესწორებული ანგარიში და დამტკიცებულ იქმნა სარევიზიო კომისიის შენიშვნებით. თავმჯდომარემ განუცხადა კრებას, რომ აღირჩიონ გამგე ამხანაგობისა.

ივ. შუაშვილი. ჩვენ ისეთი კაცი გვინდა და გვეჭირვება, რომ მან იცოდეს ჩვენი ავ-კარგი, მას უნდა იცნობდნენ ჩვენი აბრეშუმის მწარმოებელნი, იცოდეს ჩვენი პირობები; ჩემის აზრით, აქ უცხო ვინმეს დასახელება მეტი იქნება.

კრება ერთხმად სთხოვს ისიდორე რამიშვილს, რომ მან იკისროს მმართველობა.

ალ. თოიძე. ჯერ ყოველთ უწინარეს გავიგოთ რა გვაქვს, რა შეგვიძლია გამგეს რომ მივცეთ; მე გადაწყვეტით მოგახსენებთ, რომ გავიგოთ სასყიდელი და შემდეგ კაცი ვეძებოთ, თორემ ის, ვინც უჯამაგიროთ დასთანხმდება, ის, ჩემის აზრით, ან ქურდია, ან «მაშენიკი».

ის. რამიშვილი. მადლობელი ვართ, ბატონებო, მაგრამ მე მაგ საქმისათვის მოუმზადებელი ვარ, მე მგონია ჩემი დასახელება თქვენ იხუმრეთ.

კრება გადადის გამგის სასყიდელზე და ბევრი იმ აზრისაა, რომ ჯერ ჯამაგირი დაენიშნოს და შემდეგ კაცი ეძებონ, მაგრამ ხმის უმეტესობამ წინააღმდეგი გადასწყვიტა, ე. ი. ჯერ აირჩეს კაცი და მას შეედაროს ჯამაგირი.

ალ. თოიძე (ცხარედ). გთხოვთ ოქმში ჩასწეროთ ეს ჩემი სიტყვები. ყოველ დაწესებულებაში ჯერ დანიშნენ ჯამაგირს და შემდეგ კაცს მოსძებნიან, თორემ შეიძლება ეხლა რომ კაცს ავირჩევთ, ის ჯამაგირზე არ დაყაბულდა და შემდეგ კიდევ საიდ შეგვიძლია შევიყაროთ თავი.

კამათი: დავუნიშნოთ %-ბი, დავნიშნოთ გადაწყვეტილი ჯამაგირი.

სილ. ჟიბლაძე. თავი და თავი არის ჩვენში კაცი; საქმე რომ დამარცხდება, მაშინ იკითხავენ—ვინ ედგა სათავეში, ან რა კაციო. ძნელია, რომ ფულით კაცი მოვისყიდოთ. ვეძებოთ კაცი და შემდეგ, როცა საქმეს კარგად წაიყვანს, ჯამაგირზე არც ჩვენ დავიხევთ უკან—სხვაფრივ რომ მოვიქცეთ-კი, მაშინ ფული უფრო დიდდება ჩვენს თვალში, ვიდრე კაცი.

ვას. ხუნდაძე თხოულობს კენჭს ამ საკითხზე.

ესტატე ანთაძე გამოსთქვამს იმ აზრს, რომ დაინიშნოს ჯერ ჯამაგირი.

სილ. ჟიბლაძე. ჩვენ ყველას მგონი ერთი მიზანი გვაქვს—ამხანაგობის კეთილ-დღეობა, რას იტყვით მაშინ, როცა მე მუქთად ვიკისრო იმ დროს, როცა მეორე დაჩოქილი 1000 მან. თხოულობს და გვპირდება ამხანაგობის ფეხზე წამოყენებას. (მღვდ. სოლ. დუმბაძე. ვინაა ანგელოზი, რომ არ მოიპაროს).

დამსწრე ნოე ჟორდანია. რასაკვირველია, ჯერ უნდა გადაწყდეს კაცი, მაგრამ შეიძლება ჯამაგირის დანიშვნამ სიხარბე გამოიწვიოს, განხეთქილება. აი ეს არის მიზეზი, რომ ჯერ უნდა ვეძებოთ კაცი; ჩემის აზრით, საჭიროა უმთავრესი ყურადღება მიექცეს კაცს და აღირჩეს იგი.

ხმის შეკრებით გადაწყდა ჯერ მოიძებნოს კაცი და შემდეგ დაენიშნოს ჯამაგირი.

აპ. წულაძე

(შემდეგი იქნება)

## სხვა-და-სხვა ამბავი

### სამეცნიერო სახალხო კურსები ინგლისში *)

როგორ დაარსდა სამეცნიერო კურსები ინგლისში.—პროფესორი სტუარტი და მისი მეცადინეობა. რამდენი მსმენელია კურსებზედ.—მუშა სტუდენტები.

სახალხო განათლება ინგლისში მეტად კარგად არის დაყენებული და სასურველი ნაყოფიც მოაქვს. მაგრამ ყველაზედ უფრო დიდი და თვალსაჩინო სარგებლობა მოაქვს ესრედ წოდებულს «მდაბიო ხალხში უნივერსიტეტული სწავლის გამავრცელებელ საზოგადოებას» ამ «სამეცნიერო სახალხო კურსებს». აი როგორ დაარსდა ეს კურსები და რამ გამოიწვია იგი. 1881 წელს ინგლისის დიდს ქალაქებში დედათა წრეები დაარსდა, სადაც სამეცნიერო საგნებზედ კითხულობდნენ ლექციებს. ამ დედათა წრეებს ჩქარა იმდენი ხალხი მიაწყდა, რომ დედათა წრე იძულებული გახდა სხვა ლექტორებიც მიეწვია და საღამოობითაც გაეთხნა ლექციები, რათა მუშა ხალხიც დასწრებოდა. ლექციებზედ ხალხის სიარულმა უფრო იმატა და რაც დრო გადიოდა მით უფრო ცხოველდებოდა ხალხში სურვილი ლექციების მოსმენისა.

კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი სტუარტი იმ ლექტორთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც სხვა და სხვა ქალაქებში ლექციებს კითხულობდნენ სახალხოდ. ის დაუახლოვდა თავის მსმენელებს და სცნო, რომ ლექციებს უმთავრესად ისინი ეტანებოდნენ, განც მოკლებულნი იყვნენ უმაღლეს განათლებას: ქალები, ვაჭრები, ხელოსნები და მუშები. ის ამ გარემოებას დიდათ დაუკვირდა და საშუალების ძებნას შეუდგა, რომ როგორმე უნივერსიტეტული განათლება ყველასთვის მისაწდომი გაეხადნა. დიდი ხნის შრომისა და ფიქრის შემდეგ შეიმუშავა პროგრამა, რომელიც საფუძვლად დაედო კურსებს. უმთავრესი

*) Проф. Бѣлявскій „Народное образованіе въ Англіи“.

მუხლები ამ პროგრამისა, რომელნიც დღესაც სისრულით არიან დარჩენილი, შემდეგია: 1) კურსებზედ უნდა იკითხებოდნენ ერთ ხანად ერთსა და იმავე საგანზედ ლექციები. 2) მსმენელებს ხელში უნდა ჰქონდეთ პატარა სახელმძღვანელო, რომელშიც მოკლედ უნდა იყვეს განხილული ის საგანი რაზედაც ლექციას კითხულობენ. 3) მსმენელებმა ყოველ კვირეს უნდა აცნობონ ლექტორს, თუ რა შეითვისებს მის ლექციებისაგან. 4) ლექციები, რომელნიც ერთ საათზედ მეტს არა გრძელდებიან მოკლედ უნდა იყვეს განხილული საგანი; შემდეგ ლექციაში კი ვრცლად და დაწვრილებით უნდა აიხსნას ესევე საგანი. 5) სასურველია, რომ ყოველი კურსის დასრულების შემდეგ გამოსცდიდნენ ხოლმე მსმენელებს და მოწმობებს აძლევდენ ვინც კარგად შეითვისებს საგანს.

თავისი წინადადებით სტუარტმა კემბრიჯის უნივერსიტეტს მიჰმართა და სთხოვა გაემრავლებინათ პროფესორთა რიცხვი და გაეგზავნათ იმ ქალაქში სადაც ხალხი გამოაცხადებდა სურვილს სამეცნიერო კურსების დაარსებისას.

გაიგო თუ არა ინგლისის საზოგადოებამ სტუარტის წინადადება ყოველ მხრიდან თანაგრძნობის ხმა მოისმა და ყველა სთხოვდა უნივერსიტეტის ამ გვარი კურსების დაარსებისას. უნივერსიტეტის მთავრობამ კომიტეტი დაარსა, რომელსაც უნდა დაეარსებინა სამეცნიერო კურსები ყველგან, სადაც კი ლექტორების დასასაჩუქრებელი და შენობების დასაქირავებელი ფული შეგროვდებოდა. რასაკვირველია, ამ გვარი ხარჯი იძულებული ჰყოფდა მათ მსმენელთათვის დიდი სასყიდელი გამოერთმიათ. თუმცა ლექციებზედ დიდძალი ხალხი დაიარება, მაგრამ აშკარაა ლექციებზედ დასასწრები ფასი, რომ მცირე იყვეს უფრო ბევრს მსმენელებს მიიზიდავდა. სცნო თუ არა ეს საზოგადოებამ მაშინვე უხვი შეწირულებანი წამოვიდა ყოველი მხრიდამ, რომლითაც არამც თუ შესაძლებელი შეიქმნა ფასის დაკლება, არამედ მრავალ ადგილას მშვენიერი შენობებიააშენეს კურსებისთვის. ამის შემდეგ კურსების საქმე ჩქარის ნაბიჯით წავიდა წინ. თუმცა მრავალ მუშისთვის ეხლაც ძნელია ლექციებზედ დასწრება, მაგრამ ისეთი ძლიერია მათში სამეცნიერო განათლების სურვილი, რომ ისინი ყოველი ღონის მიებით მიისწრაფვიან მისკენ. მუშები, არა იშვიათად სამუშაობსაც კი თავს ანებებენ ხოლმე, რომ ლექციას არ მოაკლდნენ. ერთს კურსზედ, სადაც პოლიტიკურ ეკონომიაზედ ჰკითხულობდნენ ლექციებს, პირველი ჯილდო გამოცდაზედ ერთს ქარხნის მუშას ერგო, ხოლო მეორე მკერვალ ქალს.

მრავალი მუშები ისეთ ადგილებში მოდიან კურსებზედ შექმნილი ცოდნით, რომ მიდიან მახლობელს ადგილებში და სთხოვენ მათაც ითხოვონ კურსების გახსნის ნებართვა.

ოქსფორდის უნივერსიტეტი შეუგულ ადგილად შეიქმნა სახალხო განათლებისა. ჯერ 1889 წელს 110 ქალაქში გახსნა 148 კურსი, რომლებში მსმენელთა რიცხვი 18,000 კაცს აღემატებოდა. თუ რამდენად მიაღწია ხალხმა თავისს სურვილს აქედამაც აშკარადა სჩანს. ოქსფორდის უნივერსიტეტის ანგარიშში კურსების გამო აი რა სწერია: „თუ თვით ხალხს არ შეუძლიან უნივერსიტეტში მივიდეს, საჭიროა თვით უნივერსიტეტი მივიტანოთ მასთან.

ამ შესანიშნავ მოძრაობას სამეცნიერო ცოდნის ხალხში გავრცელებისას, დიდი მნიშვნელობა აქვს არამც თუ ინგლისისათვის, არამედ მთელი ქვეყნისათვის. აქამდის სამეცნიერო განათლების მიღება მხოლოდ ზოგიერთ რჩეულთ შეეძლოთ მიეღოთ, რომელთ შეძლება და გარემოება ხელს უწყობდათ უნივერსიტეტში შესასვლელად, ეხლა კი უბრალო მუშისათვისაც ხელ-მისაწდომია იგი. ინგლისმა პირველი მაგალითი მისცა ქვეყანას, რომ უმაღლესი სწავლა მდაბიო ხალხისათვისაც ხელმისაწდომიაო, რომ უბრალო მუშებს, ხელოსნებს და მკერვალ-ქალებს, ისევე შეუძლიანთ მეცადინეობა და სწავლა, როგორც დანარჩენთ.

კურსებისა და მსმენელთა რიცხვი დღითი დღე მატულობს. 1889—90 წლამდის 377 სხვა და სხვა ნაირი კურსი, იყო, რომელსაც მედამ წლივ რამდენიმე კიდევ ემატება. სტუდენტთა რიცხვი ამ ხნის განმავლობაში 42,000 აღემატებოდა, მას შემდეგ კი რაც კურსებში სწავლა დაიწყო სულ 200,000 მსმენელს დაუმთავრებია კურსი.

საგნები, რომელთ შესახებაც კურსებზედ ლექციებს კითხულობენ, ორ ნაწილად გაიყოფიან: საბუნების მეტყველოდ და ისტორიულად. მთელი კურსი სამს წელიწადს გრძელდება; სწავლის საქმე ისე სანაქებოდ მიდის, რომ უნივერსიტეტს ბევრით არ ჩამოურჩება. თუმც ეს დაბალი საზოგადოება ხელოსნები, მუშები, გაჭრები, მკერვალი ქალები, ნამდვილ სტუდენტებზედ ნაკლებად არიან მომზადებულნი, მაგრამ ისეთი დიდი სურვილი აქვთ სწავლა-განათლების შეძენისა, რომ გამოცდაზედ ნამდვილ სტუდენტებზედ ნაკლებად არ უბმენ ხოლმე.

შ. ფრონელი

# განცხადებანი


ქართველთა ამხანაგობის

გამოცემანი

(ისყიდება სიკუთარ კიოსკში, ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ბაღის კუნჭულში)

| | |
|---|---|
| თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოხევეგარიძისა) ავტორის სურათით და იგივე მე-IV ტომი მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერისავე ყდით (თითო) . . | 2—50 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი . . . . . | „—80 |
| იგივე მშვენიერის ყდით . . | 1—25 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა-პოემა ბაჩანასი . . . . . . | „—15 |
| ხალხური ზღაპრები I ნაწილი | „—30 |
| იგივე კარგს ქაღალდზე, მშვენიერი ყდით . . . . . | 2—50 |
| იგივე ტომი III . . . . . | 1—„ |
| იგივე ტომი IV, იზა, ორი წიგნი . . . . . . . . | 1—60 |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით . . . . . | 3—„ |
| ჩანგი . . . . . . . . | 1—„ |
| სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა . . . . . . . | „—20 |
| თხზულებანი აკაკისა, ტომი I | 1—„ |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით . . . . . | 2—50 |
| იგივე ტომი II . . . . . | 1—„ |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით . . . . . | 2—50 |
| არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის. . . . . | „—25 |
| სიბრძნე-სიცრუვე, მისივე . | „—75 |
| იგივე კარგს ქაღალდზე . . | 1—50 |
| სამზარეულო ქართული ევროპიული საჭმელებისა . . . | 1—50 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა, ტომი I, სურათით . . . | 1— „ |
| იგავ არაკნი, მისივე . . . | „—20 |
| ღვინის დაყენება, პროფესორის გ. პეტრიაშვილისა . . . | 2—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში თ. ა. გას.-ძე ჟორბელიანისა . . . . . | „—25 |
| საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, ვ. პოტოსი . . . . . . . | „—40 |
| მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, ისტორიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . | „—40 |
| აივენგო, რომანი ვალტერ სკოტისა . . . . . . . . | 1— „ |
| ცეცხლითა და მახვილითა, რომანი გ. სენკევიჩისა . . . | 1—60 |
| დასტურ-ლამა, თხზულება ნიკოლოზ ყაიანისა . . . . | „—20 |
| გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, სურათით . , . . | —50 |
| სიბრძნე ბალავარისა . . . | 3—30 |

(100—63)



ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.

ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილწვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо

В. М. МИРИМАНІАНА

Тифлисъ, Дворцовая ул.

(54—1)


„ტფილისის მოსამსახურეთა და მახმარებელ საზოგადოების“ მიერ ამორჩეულმა კომისიამ დაასრულა წესდების შემუშავება ამისათვის კომისია სთხოვს ყველას, ვინც-კი ამ საქმეს თანაუგრძნობს, მობრძანდეს ამ მდგომარე მარტის 21-ს შაბათს, საღამოს 6 საათზე, „პურ-ღვინოს“ დარბაზში (მუხრანბატონის სახლში) მოხსენებულ წესდების გასარჩევად და დასაბოლოვებლად. (4—2)


საზღვევი საზოგადოება

„იაკორი“

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს მოსკოვში

ტფილისის უმთავრესი სააგენტო

ღებულობს:

დაზღვევას ცეცხლისაგან

ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.

დაზღვევას სიცოცხლისა და თანხებისა

შეღავათიანის პირობებით, მაგალითად შეღავათი იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს შრომა არ შეუძლიან და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა ეძლევა საზოგადოების მოგებიდან.

დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან

მიიღებიან საერთოდ დაზღვევა მუშებისა, ქარხნებსა და სახელოსნოებში, აგრეთვე დაზღვევა კერძო პირებისა.

დაზღვევა გაგზავნილ საქონლებისა

ზღვაზედ, მდინარეებზედ თუ ხმელეთზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა.

თხოვნებით და ყოველ-გვარ ცნობათა შესატყობად დაზღვევაზე შეიძლება მიჰმართონ ტფილისის კონტორაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე გრიგოლის-ძეს სერგეევს, ერევნის მოედნის ყურში, თავ. ციციშვილის სახლებში № 2. და აგრეთვე მოსკოვში საზოგადოების გამგეობაში.

*Страховое Общество* „ЯОРЬ“

Высочайше утвержденное въ 1872 г. въ Москвѣ

**Принимаетъ:** 1)Страхованіе отъ огня, 2) страхованіе жизни и капиталовъ. 3) страхованіе отъ несчастныхъ случаевъ и 4) страхованіе транспортовъ.

**Контора Тифлисскаго Главнаго Агента, Александра Григорьевича Сергѣева**

на углу Эриванской площади, д. кн. Циціанова № 2.

(50—6)



Ежемѣсячный, иллюстрированный, литературный и научно-практическій

ПОДЪ НОВОЙ РЕДАКЦІЕЙ и при новомъ составѣ сотрудниковъ.

„Журналъ для всѣхъ“

ОДИНЪ РУБЛЬ ВЪ ГОДЪ.

Выходитъ разъ въ мѣсяцъ въ объемѣ не менѣе 2 печатныхъ листовъ плотнаго, убористаго шрифта въ 2 столбца.

Въ журналѣ помѣщается: Обзоръ важнѣйшихъ событій изъ русской и иностранной жизни. Повѣсти, разсказы и стихотворенія выдающихся русскихъ и иностранныхъ писателей. Очерки изъ исторіи Церкви и извлеченія изъ твореній Отцовъ Церкви. Историческіе очерки и біографіи современныхъ и историческихъ общественныхъ дѣятелей русскихъ и иностранныхъ. Популярные очерки изъ міра наукъ по различнымъ отраслямъ естествознанія, а также свѣдѣнія о различныхъ научныхъ открытіяхъ и изобрѣтеніяхъ, имѣющихъ значеніе въ народномъ хозяйствѣ и обыденной практикѣ. Статьи, всесторонне знакомящія читателей съ жизнью народовъ, населяющихъ Россію и другія страны. Краткія практическія свѣдѣнія по полеводству, огородничеству, садоводству, скотоводству, птицеводству, пчеловодству, домоводству—примѣнительно къ мелкому землевладѣнію. Статьи по домашней медицинѣ и гигіенѣ, составленіе которыхъ, равно какъ и разборъ популярно-научныхъ книгъ по этимъ отраслямъ знанія, поручены профессорамъ университета и докторамъ медицины. Библіографія, гдѣ будетъ помѣщаться обзоръ популярныхъ и народныхъ изданій, выходящихъ въ теченіе года. Переписка съ читателями.

Кромѣ различныхъ рисунковъ къ тексту и портретовъ, въ каждомъ № будутъ помѣщаться снимки съ лучшихъ картинъ русскихъ и иностранныхъ художниковъ.

Желая сдѣлать „Журналъ для всѣхъ“ общедоступнымъ, мы назначили на него самую умѣренную цѣну:

ОДИНЪ РУБЛЬ въ годъ съ доставкой и пересылкой.

Подписка принимается въ редакціи „Журнала для всѣхъ“: С.-Петербургъ, Ковенскій пер., д. № 31.

Оставшіеся годовые экземпляры журнала за 1896 и 1897 гг. высылаются одинъ рубль или наложеннымъ платежемъ за 1 р. 25 к. каждогъ.

(10—3) Издатель П. В. Голяховскій.



Открыта подписка на

„С.-Петербургскія Вѣдомости“

ВЪ 1898 Г.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

| | Безъ казенныхъ прибавленій. на годъ | 6 мѣс. | 3 мѣс. | 1 мѣс. | Съ казенными приб. на годъ | 6 мѣс. |
|---|---|---|---|---|---|---|
| Съ доставкой по гор. почтѣ | 6 р.— | 9 р. | 4—50 | 1—80 | 18 р.— | 10 р.— |
| Съ пересылкою иногород. | 17 р.— | 10 р. | 5—50 | 2— „ | 19 р.— | 11 р.— |
| За границу . . . . . | 26 р.— | 14 р. | 8— „ | 3— › | 28 р.— | 16 р.— |

*Подписка на газету съ казенными прибавленіями* принимается только на годовой и полугодовой срокъ. Въ розничную продажу казенныя прибавленія не поступаютъ.

**Подписка принимается**: въ Петербургѣ, въ главной конторѣ „С.-Петербургскихъ Вѣдомостей“, Шпалерная, 26, и въ книжномъ магазинѣ Мелье (Невскій пр., № 20); въ Москвѣ въ конторѣ Н. Печковской, Петровскія линіи, 61.

**Иногородные адресуютъ**: С.-Петербургъ, Шпалерная, 26.

(12—10) Редакторъ-издатель князь *Э. Э. Ухтомскій.*


Дозво лено ценэурою. Тифлисъ, 9-го Марта, 1898 г. სტამბა ექ. ი. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია